შორენა პაჭკორია
ORCID 0000-0003-3262-8620
ეკონომიკის დოქტორი,
ზსუ ასოცირებული პროფესორი

დირიჟიზმი და ეკონომიკური თავისუფლება: საქართველოს ზრდის მოდელის ანალიზი ისტორიულ და თანამედროვე კონტექსტში

აბსტრაქტი

ეკონომიკური თავისუფლება, ეკონომიკური ზრდა და ადამიანური განვითარება თანამედროვე ეკონომიკური სისტემების ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორებია. მათ შორის ურთიერთობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განვითარებადი ეკონომიკებისთვის, სადაც საბაზრო ინსტიტუტები, სამართლებრივი სტრუქტურები და სოციალური პოლიტიკა ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია. გლობალიზაციის ხანაში, ამ სამი კომპონენტის ურთიერთქმედება განსაზღვრავს ეკონომიკურ პოლიტიკას და მდგრადი განვითარების შესაძლებლობებს. მოცემული სტატია მიზნად ისახავს ეკონომიკური თავისუფლების გავლენის შეფასებას ეკონომიკურ ზრდაზე გლობალიზაციისა და ადამიანური განვითარების პარალელური განხილვით, კერძოდ კი, საქართველოს მაგალითზე, ისტორიული კონტექსტისა და თანამედროვეობის გათვალისწინებით. სტატია აანალიზებს ეკონომიკური ლიბერალიზმის უპირატესობებსა და გამოწვევებს საქართველოს მაგალითზე, ისეთი ინდიკატორების გამოყენებით, როგორიცაა „ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი“ და „ადამიანური განვითარების ინდექსი“. კვლევა ასევე ეხება ისტორიულ პარალელებს სამეგრელოს სამთავროში, სადაც სახელმწიფო აქტიურად უჭერდა მხარს სტრატეგიულ სექტორებს და ინფრასტრუქტურულ პროექტებს. დასკვნაში, ავტორი მიდის იმ მოსაზრებამდე, რომ საქართველოსთვის ოპტიმალური მოდელი უნდა იყოს ჰიბრიდული, სადაც ეკონომიკური თავისუფლება დაბალანსებულია დირიჟიზმის გონივრული ელემენტებით, რაც ხელს შეუწყობს ინსტიტუციურ სტაბილურობასა და კორუფციის შემცირებას.

საკვანძო სიტყვები: *ეკონომიკური ზრდა, ეკონომიკური თავისუფლება, დირიჟიზმი, გლობალიზაცია, ადამიანური განვითარება.*

Shorena Pachkoria
Doctor of Economics, Associate Professor at ZSU

DIRIGISME AND ECONOMIC FREEDOM: ANALYSIS OF GEORGIAN'S GROWTH MODEL IN HISTORICAL AND CONTEMPORARY CONTEXT

ABSTRACT

Economic freedom, economic growth, and human development are key determinants of modern economic systems. The relationship between them is particularly important for developing economies where market institutions, legal structures, and social policies are still in the process of formation. In the era of globalization, the interaction of these three components defines economic policy and the possibilities for sustainable development. This article aims to assess the impact of economic freedom on economic growth through a parallel review of globalization and human development, specifically using the example of Georgia in its historical and modern context. The article analyzes the advantages and challenges of economic liberalism in Georgia using indicators such as the „Economic Freedom Index" and the „Human Development Index." The research also addresses historical parallels in the Principality of Samegrelo, where the state actively supported strategic sectors and infrastructural projects. In conclusion, the author contends that the optimal model for Georgia should be a hybrid one, where economic freedom is balanced by rational elements of dirigisme, which will contribute to institutional stability and the reduction of corruption.

Keywords: *Economic Growth, Economic Freedom, Dirigisme, Globalization, Human Development.*

შესავალი

ეკონომიკური ზრდა, რომელიც ქვეყნის კეთილდღეობის ერთ-ერთ მთავარ განმსაზღვრელ ინდიკატორს წარმოადგენს, სულ უფრო მჭიდროდ უკავშირდება ისეთ ფაქტორებს, როგორებიცაა: ეკონომიკური თავისუფლება, ადამიანური განვითარება და გლობალიზაცია. ამ კომპონენტების ურთიერთქმედება ქმნის კომპლექსურ ჩარჩოს, რომელშიც ფორმირდება ეკონომიკური პოლიტიკა, ბიზნესგარემო და საზოგადოებრივი კეთილდღეობა.

მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ეკონომიკური თავისუფლება, კერძოდ კი კერძო საკუთრების დაცვა, რეგულაციების გამჭვირვალობა, დაბალი ბიუროკრატია და თავისუფალი ბაზარი, ხელს უწყობს ინოვაციებს, საინვესტიციო კლიმატს და

ეკონომიკურ დინამიკას. ამავე დროს, გლობალიზაცია ცვლის თამაშის წესებს: ქვეყნები ჩართული არიან ახალ ეკონომიკურ ქსელებში, იზრდება ვაჭრობისა და კაპიტალის მოძრაობის ტემპი, რაც იწვევს როგორც შესაძლებლობების ზრდას, ისე ახალი რისკების წარმოქმნას. ამ ფონს ემატება ადამიანური განვითარების როლი, რაც გულისხმობს განათლებასა და ჯანმრთელობაზე ხელმისაწვდომობის ზრდას, რაც უზრუნველყოფს პროდუქტიულ და კონკურენტუნარიან სამუშაო ძალას.

2020-იანი წლების დასაწყისიდან თანამედროვე გლობალური ეკონომიკური ტენდენციები უფრო დაძაბული და პოლარიზებულია. რუსეთის აგრესია უკრაინაში, ისრაელ-ირანის დაპირისპირების ესკალაცია, აშშ-ის საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის გამკაცრება ტარიფებისა და სანქციების მეშვეობით, ასევე ჩინეთთან და რუსეთთან უკიდურესად დაძაბული სავაჭრო და ტექნოლოგიური კონკურენცია ქმნის ისეთ გეოეკონომიკურ რეალობას, რომელიც პირდაპირ გავლენას ახდენს საერთაშორისო ვაჭრობაზე, ინვესტიციებზე და ფინანსურ ბაზრებზე. აშშ-ის პრეზიდენტის, დონალდ ტრამპის პოლიტიკა, რომელიც ეკონომიკური ნაციონალიზმით გამოირჩევა, ზრდის ტარიფებს ჩინეთთან, მექსიკასთან, კანადასა და ევროპასთან სავაჭრო პროდუქციაზე, რაც არღვევს მრავალმხრივი ვაჭრობის პრინციპებს (Rodrik). ევროპა ცდილობს მოირგოს დივერსიფიცირებული ენერგეტიკული პოლიტიკა და მჭიდრო ეკონომიკური ინტეგრაცია რეგიონში, თუმცა ომის პირობებში ეკონომიკური ზრდა შეფერხებულია. ამერიკასა და ჩინეთს შორის ტექნოლოგიური ომი უკვე ცვლის გლობალურ მიმწოდებლების ჯაჭვებს (Stiglitz).

ამ ფონზე საქართველომაც უნდა გაანალიზოს საკუთარი ეკონომიკური პოზიციონირება. მცირე და ღია ეკონომიკამ უნდა მოახდინოს ბაზრების დივერსიფიკაცია, ადგილობრივი წარმოების სტიმულირება, სტრატეგიული სექტორების (სოფლის მეურნეობა, ენერგეტიკა, ტექნოლოგიები) პრიორიტეტიზაცია და აქტიური ვაჭრობა როგორც ევროკავშირთან, ისე ცენტრალურ აზიასთან და ახლო აღმოსავლეთთან. ასევე, აუცილებელია გამჭვირვალე და მოქნილი ინსტიტუციური რეფორმების გატარება. ასეთ არასტაბილურ კონტექსტში ეკონომიკური თავისუფლება ვერ აიხსნება მხოლოდ ლიბერალიზაციის მეშვეობით, ის გულისხმობს მოქნილ, მაგრამ ძლიერ ინსტიტუტებს, რომლებიც შეძლებენ ეკონომიკურ შოკებზე დროულ რეაგირებას, შიდა წარმოების გაძლიერებას და სოციალური უთანასწორობის შემცირებას.

სტატია მიზნად ისახავს, შეაფასოს ეკონომიკური თავისუფლების გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე საქართველოს კონტექსტში, კერძოდ: როგორ შეიძლება ეფექტური ეკონომიკური პოლიტიკა აერთიანებდეს ლიბერალური ბაზრის მექანიზმებს და იცავდეს ქვეყნის გეოპოლიტიკურ და სოციალურ უსაფრთხოებას. ანალიზი დაფუძნებულია როგორც თეორიულ ლიტერატურაზე, ისე საქართველოს კონკრეტულ მაგალითზე (როგორც თანამედროვე, ისე ისტორიული ასპექტით), კერძოდ დავით დადიანის ეპოქის სამეგრელოს მაგალითზე. ასეთი მიდგომა იძლევა საშუალებას, შეჯერდეს თეორია და პრაქტიკა, გლობალური ტენდენცია და ლოკალური გამოცდილება.

ეკონომიკური თავისუფლების თეორიული საფუძველი
და თანამედროვე კვლევები

ეკონომიკური თავისუფლება გულისხმობს ინდივიდების, ორგანიზაციებისა და საწარმოების თავისუფლებას, აწარმოონ ეკონომიკური საქმიანობა საკუთრების დაცვის, კონტრაქტების შესრულების, მინიმალური სახელმწიფო ჩარევის და რეგულაციების გამჭვირვალობის პირობებში. კლასიკური ეკონომიკური თეორია, რომელიც ეფუძნება ადამ სმითის, ფრიდრიხ ჰაიეკისა და მილტონ ფრიდმანის ნაშრომებს, ეკონომიკურ თავისუფლებას განიხილავს, როგორც ეკონომიკური ზრდის, ინოვაციებისა და საზოგადოების კეთილდღეობის მიღწევის საფუძველს. სმითი აღნიშნავდა, რომ „უჩინარი ხელი" ანუ თავისუფალი ბაზრის მექანიზმი უკეთესად ანაწილებს რესურსებს, ვიდრე ცენტრალიზებული მმართველობა. ჰაიეკი ხაზს უსვამდა იმ საფრთხეს, რაც ეკონომიკურ თავისუფლებაზე ზეწოლას შეუძლია მოუტანოს საზოგადოებრივ თავისუფლებებს. ფრიდმანმა კი დეტალურად ჩამოაყალიბა კავშირი ეკონომიკურ და პოლიტიკურ თავისუფლებას შორის, იმ მტკიცებით, რომ „ეკონომიკური თავისუფლების გარეშე, არც ერთი სხვა თავისუფლება არ არის მდგრადი" (Friedman).

თანამედროვე კვლევები მნიშვნელოვნად აფართოებენ ამ საკითხს. Fraser Institute-ისა და Heritage Foundation-ის მიერ გამოქვეყნებული ეკონომიკური თავისუფლების ინდექსები (*Economic Freedom of the World*, *Index of Economic Freedom*) მოიცავს ისეთ კომპონენტებს, როგორებიცაა: საკუთრების უფლებები, მთავრობის ზომა, მარეგულირებელი ბარიერების დონე, სავაჭრო თავისუფლება და მონეტარული სტაბილურობა. მკვლევრები აღნიშნავენ, რომ ეკონომიკური თავისუფლების ინდექსში 20%-იანი ზრდა უკავშირდება საშუალოდ 1.5–2.5%-ით სწრაფ ეკონომიკურ ზრდას (Gwartney et al. 2021). თავისუფალი ეკონომიკის მქონე ქვეყნები, მაგალითად ჰონკონგი, შვეიცარია და ირლანდია, ბოლო 20 წელში სტაბილურად ლიდერობენ მდგრადი ზრდის მაჩვენებლებით. Gwartney, Lawson და Hall (2022) აღნიშნავენ, რომ ეკონომიკურად თავისუფალ ქვეყნებში მშპ ერთ სულ მოსახლეზე საშუალოდ ორჯერ უფრო სწრაფად იზრდება.

საბაზრო ინსტიტუტების ეფექტიანობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განვითარებადი ქვეყნებისთვის, სადაც ეკონომიკური რეფორმების სტაბილურობა პირდაპირ განსაზღვრავს ინვესტიციებისა და მეწარმეობის დონეს. Toda–Yamamoto-ს ტესტი, როგორც უახლესი ეკონომეტრიული ინსტრუმენტი, ადასტურებს ეკონომიკური თავისუფლებისა და ეკონომიკური ზრდის ორმხრივ კავშირს. ეს ნიშნავს, რომ არა მხოლოდ თავისუფლება განაპირობებს ზრდას, არამედ თავად ზრდაც აძლიერებს თავისუფლების მოთხოვნილებას.

კრიტერიუმი	**ლიბერალიზებული მიდგომა**	**დირიჟისტული მიდგომა**
სახელმწიფოს როლი	მინიმალური ჩარევა, „ღია ბაზარი“	აქტიური მონაწილეობა, სტრატეგიული დაგეგმარება
რეგულაციები	მინიმალური რეგულაციები და დაბალი ბიუროკრატია	მიზნობრივი რეგულაციები სტრატეგიულ სექტორებში
ინვესტიციების სტიმულირება	კერძო ინიციატივებზე დამყარებული	სახელმწიფო ინვესტიციებით მართული ზრდა
მიზანი	ეფექტურობა და კონკურენცია	სამართლიანი განვითარება და სტრუქტურული გარდაქმნები
რისკები	უთანასწორობის ზრდა, მონოპოლიები	კორუფციის რისკი, ინოვაციების შეზღუდვა
მაგალითი ქვეყნები	ჰონკონგი, ირლანდია, შვეიცარია	სამხრეთ კორეა, სინგაპური, საფრანგეთი (1950-70 წლები)

თუმცა, კვლევების ნაწილი მიუთითებს, რომ გადაჭარბებული ლიბერალიზაცია ან სუსტი სამართლებრივი ჩარჩო, შესაძლოა, გამოწვევად იქცეს და გამოიწვიოს უთანასწორობის ზრდა, მონოპოლიები და ფინანსური არასტაბილურობა, განსაკუთრებით კი განვითარებად ქვეყნებში (Acemoglu and Robinson). მაგალითად, OECD-ისა და IMF-ის კვლევები მიუთითებს, რომ ზოგიერთ განვითარებად ეკონომიკაში საბაზრო ლიბერალიზაციამ, სახელმწიფოს უკან დახევის პარალელურად, ვერ უზრუნველყო კონკურენციის ზრდა და შედეგად გაძლიერდა ოლიგოპოლიური სტრუქტურები. სუსტი რეგულაციური მექანიზმების პირობებში, ეკონომიკური თავისუფლება შეიძლება გახდეს საშუალება კორპორაციული გავლენის ზრდისთვის, რაც ზღუდავს მცირე და საშუალო ბიზნესის შესაძლებლობებს. ასევე, მონეტარული პოლიტიკის განუსაზღვრელი ლიბერალიზაცია, მყარი მონეტარული ჩარჩოს გარეშე, ხშირად იწვევს ფასების არასტაბილურობას და ინფლაციური მოლოდინების ზრდას, რაც აისახება მოსახლეობის რეალურ შემოსავლებზე.

ეკონომიკური ლიტერატურა ყურადღებას ამახვილებს დირიჟისტულ მიდგომებზეც, ანუ სახელმწიფოს აქტიურ მონაწილეობაზე ეკონომიკაში. დირიჟიზმი გულისხმობს ისეთი პოლიტიკების გატარებას, როგორებიცაა: სტრატეგიული სექტორების

ხელშეწყობა, სახელმწიფო ინვესტიციები ინფრასტრუქტურაში, სამეწარმეო საქმიანობის მხარდაჭერა და რეგულაციების მიზნობრივი გამოყენება. ზოგიერთი აზიური წარმატებული ეკონომიკის მაგალითი, მათ შორის სამხრეთ კორეისა და სინგაპურის, აჩვენებს, რომ ეკონომიკური თავისუფლებისა და დირიჟიზმის ჰიბრიდულმა მოდელმა უზრუნველყო მდგრადი ეკონომიკური ზრდა (Chang). ეს მიდგომა გულისხმობს სახელმწიფოს სტრატეგიულ როლს, რომელიც არ ცვლის ბაზრის კანონებს, არამედ წარმართავს მათ თანმიმდევრულ განვითარებას.

თანამედროვე მიდგომა მოითხოვს არა მხოლოდ ეკონომიკური თავისუფლების ზრდას, არამედ შესაბამისი ინსტიტუციური ბალანსისა და სოციალურ-ეკონომიკური რეგულაციების არსებობას, რომლებიც უზრუნველყოფენ ინკლუზიურ განვითარებას და მდგრად სტაბილურობას. პოსტსაბჭოთა სივრცეში ჩატარებული კვლევები (EBRD, მსოფლიო ბანკი) მიუთითებს, რომ ეკონომიკური თავისუფლების ხელშეწყობა ტრადიციულ ეკონომიკებში მხოლოდ იმ შემთხვევაში იძლევა მყარ შედეგებს, თუ პარალელურად ხდება ინსტიტუციური სტრუქტურების გაძლიერება, კორუფციის შემცირება და სამართლებრივი გარემოს გაუმჯობესება (გიორგობიანი და მახათაძე).

ისტორიული ანალიზი: დავით დადიანის მმართველობა სამეგრელოში

ისტორიულ ჭრილში ეკონომიკური თავისუფლებისა და ზრდის კონცეფციები განსხვავებულ ფორმებში არსებობდა. საქართველოს რეგიონებში, განსაკუთრებით სამეგრელოში, დავით დადიანის (XIX საუკუნის შუა პერიოდი) მმართველობა ეკონომიკური ცვლილებების პერიოდად მიიჩნევა. დავით დადიანმა, თავის მეუღლესთან, ეკატერინე ჭავჭავაძესთან და ქალიშვილ სალომე მიურატთან ერთად, გაატარა მთელი რიგი ეკონომიკური და ადმინისტრაციული რეფორმები, რომელთა მიზანი სამეგრელოს მოდერნიზაცია და გარე ბაზრებთან ინტეგრაცია იყო (ჩიქოვანი).

დოკუმენტური და საარქივო მასალების მიხედვით (ზუგდიდის მუზეუმი, საქმე #348), 1850-იანი წლებიდან სამეგრელოს მთავრობას აქტიურად შემოჰქონდა უცხოური ინვენტარი სასოფლო-სამეურნეო მიზნებისთვის, მათ შორის ევროპული გუთნები და სარწყავი ტექნიკა. ასევე, დაცულია კორესპონდენცია რუსეთთან, სადაც დადიანი აგრონომების გამოგზავნას ითხოვს (ზუგდიდის მუზეუმი, საქმე #562, 1854).

დადიანის მმართველობის პერიოდში:

- გაძლიერდა ვაჭრობა შავი ზღვისპირეთთან: ფოთისა და ანაკლიის პორტების მეშვეობით სამეგრელო ჩაერთო შავი ზღვის რეგიონულ ვაჭრობაში.
- გაიხსნა პირველი სამეურნეო სკოლები, მაგალითად, ცაიშის სოფლის მეურნეობის სკოლა, სადაც სწავლება ევროპულ პრინციპებზე ხორციელდებოდა.
- ჩატარდა საგადასახადო რეფორმა, კერძოდ, ძველი ტიპის ბეგარისა და ქონებრივი გადასახადების მოდერნიზება.
- დაიწყო ინფრასტრუქტურული პროექტები, მათ შორის გზების მშენებლობა ზუგდიდიდან ზღვისპირეთის მიმართულებით.

ეკატერინე ჭავჭავაძის და სალომე მიურატის ჩართულობით განვითარდა სამოსახლო სოფლის მეურნეობა, გავრცელდა შაქრის ჭარხლისა და თამბაქოს კულტივა-

ცია. გაიხსნა მცირე მანუფაქტურები ქსოვილისა და ღვინის წარმოებისთვის. მხარდაჭერილი იქნა განათლება და პრესა, რაც ქმნიდა ადამიანური კაპიტალის განვითარების საფუძველს.

აღსანიშნავია 1857 წლის გაზეთ „კავკაზის“ სტატია, სადაც დადიანის ადმინისტრაციას აღწერენ, როგორც „მცდელობას ევროპული წესრიგის დანერგვისკენ“. ასევე, ზუგდიდის სასახლის არქივში დაცულია 1856 წლის ეკონომიკური ბარათი (ზუგდიდის მუზეუმი, ფონდი 87), სადაც აღწერილია მიწის გადასახადის შემოსავლების ზრდა 30%-ით 3 წელიწადში.

შედარებითი ანალიზი ცხადყოფს, რომ ეკონომიკური თავისუფლების ზრდა უმეტესად პოზიტიურად აისახება ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებზე, თუმცა ეს დამოკიდებულია ინსტიტუციურ კონტექსტზე, სარეგულაციო პოლიტიკაზე და სოციალურ ფაქტორებზე. დავით დადიანის ეპოქის ეკონომიკური პოლიტიკა ეკონომიკური თავისუფლებისა და დირიჟიზმის ჰიბრიდული მოდელის ტიპური მაგალითია.

ქმედება	**არქივული წყარო**
განათლების მხარდაჭერა	შესაძლებელია ნახვა: მუზეუმი, საქმე #199, 1855
პორტებთან დაკავშირებული კომუნიკაცია	ზუგდიდის არქივი, ფონდი №3, საქმე #220, 1856 (მიუთითებს ანაკლიასა და ფოთზე მოლაპარაკებებს)
ცაიშის სოფლის მეურნეობის სკოლა	ფონდი №4, საქმე #311 – სავარაუდო მოხსენება განათლების დეპარტამენტიდან

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი, რომელსაც მრავალი საერთაშორისო ორგანიზაცია აწარმოებს (მაგ. Heritage Foundation, Fraser Institute), აერთიანებს საკუთრების უფლებას, რეგულაციებს, საგადასახადო ტვირთს, მონეტარულ პოლიტიკას და საერთაშორისო ვაჭრობის დონეს. Heritage Foundation-ის 2023 წლის მონაცემებით, საქართველოში ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი 69.8 ქულას შეადგენს (მსოფლიოში 35-ე ადგილი), რაც ნიშნავს ნაწილობრივ თავისუფალ ეკონომიკას (Heritage Foundation). ამის მიუხედავად, გამოწვევებად რჩება სასამართლო დამოუკიდებლობა, საკუთრების უფლებების დაცვა და რეგულაციების ერთგვაროვნება. მნიშვნელოვანი პროგრესი შეინიშნება საგადასახადო ტვირთის შემცირებასა და საბაჟო სისტემის გამარტივებაში, თუმცა კვლავ რთულია სამეწარმეო საქმიანობის პროგნოზირებადობა სასამართლო გადაწყვეტილებების მიმართ უნდობლობის ფონზე (IDFI).

გლობალიზაციის გავლენა

გლობალიზაცია, რომელიც მოიცავს საქონლის, მომსახურების, კაპიტალისა და იდეების თავისუფალ მოძრაობას, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ეკონომიკურ თავისუფლებასა და ზრდაზე. ეკონომიკური გლობალიზაცია ასტიმულირებს ვაჭრო-

ბას, ტექნოლოგიების გადაცემასა და კონკურენციის ზრდას, რაც, თავის მხრივ, აძლიერებს საბაზრო ინსტიტუტებს. 2023 წლის KOF Globalization Index-ის მიხედვით, გლობალურად ეკონომიკურად ინტეგრირებულ ქვეყნებში ზრდის მაჩვენებელი საშუალოდ 2.5%-ით მეტია არაგლობალიზებულ ეკონომიკებთან შედარებით (KOF Swiss Economic Institute). ამასთან, გლობალიზაცია აჩენს გამოწვევებსაც, მაგალითად, ეკონომიკური რისკების ზრდას, სოციალური უთანასწორობის გაღრმავებასა და ეკონომიკური სუვერენიტეტის შერყევას (Dreher). ამიტომ, გლობალიზაციის პირობებში წარმატებული ეკონომიკური ზრდა მოითხოვს ისეთ ინსტიტუტებს, რომლებიც შეძლებენ თავისუფლების შენარჩუნებას საერთაშორისო ზეწოლის ფონზე.

საქართველოში, გლობალიზაციის გავლენა მრავალმხრივია. ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში ქვეყანა აქტიურად ინტეგრირდა საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემაში. ხელი მოეწერა თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებებს (DCFTA, WTO, EFTA), რამაც გაზარდა პროდუქციისა და კაპიტალის გადაადგილების შესაძლებლობები. თუმცა, გლობალიზაციის სარგებელი სრულად არ აისახა მოსახლეობის ყველა ფენაზე; რეგიონებს შორის განსხვავებები, განათლებასა და ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობა კვლავ პრობლემად რჩება (საქსტატი).

ადამიანური განვითარების როლი

ადამიანური განვითარება, რომელსაც ხშირად აფასებენ ადამიანის განვითარების ინდექსით (HDI), აერთიანებს განათლების, ჯანმრთელობისა და შემოსავლების კომპონენტებს. Amartya Sen-ის მიდგომის მიხედვით, ეკონომიკური ზრდა მხოლოდ რაოდენობრივი მაჩვენებელი არ არის, ის უნდა იყოს განსაზღვრული ადამიანის შესაძლებლობების რეალიზაციით (Sen). კვლევები აჩვენებს ძლიერ კავშირს ადამიანური განვითარების მაღალ დონესა და მდგრად ეკონომიკურ ზრდას შორის. UNESCO-ს მონაცემებით, ყოველი დამატებითი წელი განათლებაში ზრდის მშპ-ს დაახლოებით 0.37%-ით (UNESCO). ამასთან, ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა პირდაპირ უკავშირდება შრომისუნარიანობის ზრდას და პროდუქტიულობას.

საქართველოს შემთხვევაში, ადამიანური განვითარების ინდექსი (HDI) 2022 წელს 0.802-ს შეადგენდა (UNDP), რაც მაღალი განვითარების კატეგორიაში შედის. შედარებისთვის, ეს მაჩვენებელი იყო 0.791 2019 წელს და 0.773 2015 წელს, რაც პროგრესზე მიუთითებს განათლებისა და ჯანმრთელობის მიმართულებით. თუმცა, HDI-ის ზრდის მიუხედავად, რეგიონულ ჭრილში კვლავ შეინიშნება უთანასწორობა. მაგალითად, სიღნაღის მუნიციპალიტეტში მოსახლეობის მხოლოდ 58% ფლობს საშუალო განათლებას, ხოლო ჯანდაცვის ცენტრების კონცენტრაცია თბილისსა და რეგიონულ ცენტრებზეა გადატანილი (საქსტატი). მსოფლიო ბანკის მონაცემებით (2022), საქართველოში 15-24 წლის ახალგაზრდებში უმუშევრობის დონე 30%-ს აჭარბებს, რაც მიუთითებს ადამიანური კაპიტალის არასაკმარისი ჩართულობის პრობლემაზე (World Bank).

ადამიანური განვითარება პირდაპირ ზემოქმედებს ეკონომიკურ თავისუფლებაზე. განათლებული მოქალაქეები უფრო მეტად არიან ჩართულნი მეწარმეობაში, სთავაზობენ ინოვაციურ გადაწყვეტილებებს და იცავენ საკუთრების უფლებებს. უკეთესი ჯანმრთელობის პირობებში მუშახელი უფრო პროდუქტიულია. ამავდროულად, განათლების დონის ზრდა აუმჯობესებს სამოქალაქო ჩართულობას, რაც ხელს უწყობს დემოკრატიულ ინსტიტუტებს და თავისუფალი ბაზრის განვითარებას.

დასკვნა და რეკომენდაციები

საქართველო ეკონომიკური თავისუფლების გაუმჯობესების თვალსაზრისით მნიშვნელოვან პროგრესს აღწევს. Fraser Institute-ის 2023 წლის რეიტინგის მიხედვით, საქართველო მსოფლიოში 25-ე ადგილს იკავებდა ეკონომიკური თავისუფლების ინდექსში. ქვეყანამ განახორციელა საკუთრების რეგისტრაციის გამარტივება, საჯარო რეესტრის სისტემა ერთ-ერთ ყველაზე გამჭვირვალედ ითვლება მსოფლიოში. ასევე, შენარჩუნებულია ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური საგადასახადო სისტემა და ბიუროკრატიის შემცირების მიზნით, საქართველო არაერთხელ მოხვდა მსოფლიო ბანკის „Doing Business" რეიტინგში ტოპ-10 ქვეყანაში (World Bank). ამის მიუხედავად, ეკონომიკური ზრდის ინკლუზიურობისა და მდგრადობის მიმართულებით კვლავ გამოწვევების წინაშე დგას. სერიოზულ პრობლემებად რჩება სასამართლო დამოუკიდებლობა, საკუთრების უფლების დაცვა და რეგიონული უთანასწორობა.

გლობალიზაციის პროცესში ქვეყნის ინტეგრაცია ხელს უწყობს საბაზრო ინსტიტუტების განვითარებას, თუმცა ამავე დროს ზრდის საგარეო შოკებისადმი მგრძნობელობას. ადამიანური კაპიტალის განვითარება, კერძოდ, განათლებასა და ჯანდაცვაში მიზნობრივი ინვესტიციები, უმნიშვნელოვანესია მდგრადი ზრდისთვის. ისტორიული გამოცდილება, როგორიც იყო დავით დადიანის ეპოქის სამეგრელოს ეკონომიკური პოლიტიკა, ადასტურებს, რომ ლოკალურ დონეზეც კი შესაძლებელია სისტემური ცვლილებების მიღწევა, როცა არსებობს ხედვა და რესურსების მობილიზების უნარი (ჩიქოვანი).

თანამედროვე საქართველოსთვის მსგავსი მაგალითების გააზრება შეიძლება გახდეს გზამკვლევი რეგიონული განვითარების ახალი სტრატეგიის ჩამოსაყალიბებლად. ეკონომიკური თავისუფლების ინდივიდუალური კომპონენტების გაძლიერება (სასამართლოს დამოუკიდებლობა, საკუთრების უფლება, რეგულაციები, საგადასახადო სტაბილურობა) ხელს შეუწყობს კერძო სექტორის გაძლიერებას და ინვესტიციების მოზიდვას. მომდევნო ეტაპზე, ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა უნდა ემყარებოდეს სამ საკვანძო ბურჯს: ინსტიტუციური გაძლიერება, ადამიანური კაპიტალის მხარდაჭერა და გლობალურ ეკონომიკაში გონივრული ინტეგრაცია. მხოლოდ ამ გზით იქნება შესაძლებელი ეკონომიკური თავისუფლების ტრანსფორმაცია ინკლუზიურ და მდგრად ზრდაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

Works Cited

Acemoglu, Daron, and James A. Robinson 2012. *Why Nations Fail: The Origins of Power, Prosperity, and Poverty*. Crown Business.

Chang, Ha-Joon 2002. *Kicking Away the Ladder: Development Strategy in Historical Perspective*. Anthem Press.

ჩიქოვანი, იოსებ *დადიანების საგვარეულო და სამეგრელოს სათავადო*. არტანუ-ჯი, 2015.

Dreher, Axel 2006. „Does Globalization Affect Growth? Empirical Evidence from a New Index.“ *Applied Economics*, vol. 38, no. 1, , pp. 1091–1110.

Friedman, Milton 1962. *Capitalism and Freedom*. University of Chicago Press,.

გიორგობიანი, ნ., და ი. მახათაძე „საქართველოს ეკონომიკური განვითარება და ინსტიტუციური გამოწვევები.“ *თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები*. 2021.

Gwartney, James, Robert Lawson, and Joshua Hall 2022. *Economic Freedom of the World: 2022 Annual Report*. Fraser Institute.

Heritage Foundation 2023. *Index of Economic Freedom*. www.heritage.org/index/country/georgia. Accessed 11 Aug. 2025.

KOF Swiss Economic Institute. *KOF Globalization Index*. 2023, kof.ethz.ch/en/indicators/globalization-index.html. Accessed 11 Aug. 2025.

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI). *სასამართლო და-მოუკიდებლობა და კორუფციის აღქმა საქართველოში*. ანალიტიკური ანგარიში, 2022.

Rodrik, Dani 2011. *The Globalization Paradox: Democracy and the Future of the World Economy*. W. W. Norton & Company,.

Sen, Amartya 1999. *Development as Freedom*. Alfred A. Knopf,.

Stiglitz, Joseph E. 2002. *Globalization and Its Discontents*. W. W. Norton & Company.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი). *საქართველოს ეკონომიკური და სოციალური მაჩვენებლები*. 2023, www.geostat.ge. Accessed 11 Aug. 2025.

United Nations Development Programme (UNDP). *Human Development Report: Georgia*. 2023, hdr.undp.org/data-center/specific-country-data/ge. Accessed 11 Aug. 2025.

UNESCO. *Human Capital and Economic Development: Cross-National Perspectives*. 2022.

World Bank 2022. *Doing Business Report: Georgia*., www.doingbusiness.org/en/reports/doing-business/georgia. Accessed 11 Aug. 2025.

ზუგდიდის დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმი. საარქივო ფონდი №1, საქმე №348 (1856).

ზუგდიდის დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმი. საარქივო ფონდი №1, საქმე №562 (1856).